დღის ნომერში
8

- 15 აპრილს სტარტს იღებს დიდი ფეხბურთი
- „სპრინტერთა მეფე“ გუღნატკენია
- 144 მეტრი ზღვარი როდია...

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი

№ 16 (2736) ● კვირა, 24 იანვარი, 1965 წ. ● ფასი 3 კაპ.

ბაკურიანელმა სამთო-მოთხილამურემ, სპორტის ოსტატმა გერა აბრამიშვილმა კარგად ჩაატარა მიმდინარე ზამთრის სეზონის პირველი „საკავშირო გამოცდა“. ჩვენი ქვეყნის უძლიერესთა ასპარეზობისას მან სამჭიდში III ადგილი მოიპოვა.

სურათზე: გ. აბრამიშვილი.

ფოტო თ. გაჩეჩილაძისა.

გუშინ...

თბილისის სპორტის სასახლე მოწმე გახდა ხელბურთელ ვაჟთა მეტად საინტერესო ასპარეზობისა. თბილისის „ბურევესტნიკი“ ხვდებოდა თავის ძველ მეტოქეს — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდს.

მატჩი, რომელიც ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალური შეხვედრების წინ საკონტროლო ხასიათს ატარებდა, დამთავრდა თბილისელთა დამაჯერებელი გამარჯვებით — 28:18 (14:9).

დღეს გაიმართება ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა.

უკანასკნელი საათი!

◆ **მოსკოვი, 23 იანვარი.** „კრილია სოვეტოვის“ დარბაზში დაიწყო მაგიდის ჩოგბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრება. ევროპის ჩემპიონმა — ინგლისის ქალთა გუნდმა მოუგო სსრ კავშირის IV ნაკრებს — 3:1. წარმატებით გამოვიდა ჩვენი ქვეყნის ვაჟთა II ნაკრები, რომელმაც დაამარცხა ევროპის ჩემპიონი — შვეციის ეროვნული გუნდი — 5:2. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ბაქოელმა ნ. ნოვიკოვმა სძლია ევროპის საუკეთესო ჩოგბურთელს კ. იუჰანსონს.

◆ **რიგა, 23 იანვარი.** დღეს აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე მეოთხედფინალური მატჩი კალათბურთელ ქალთა შორის. ადგილობრივი ტტტ შეხვდა ისრაელის ჩემპიონს — ტელ-ავივის „მაკაბის“. რიგელებმა ამჯერადაც დიდი ანგარიშით მოიგეს თამაში — 96:26. ამრიგად, ნახევარფინალურ მატჩებში ტტტ შეხვდება პოლონეთის ჩემპიონს — კრაკოვის „ვისლას“.

◆ **კიევი, 23 იანვარი.** სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა XXXII ჩემპიონატის დღეს გამართულ XVII ტურში ხოლმოვმა მოუგო ბრონშტეინს, შტეინმა — ლიავდანსკის. კორჩნოი — ბაკულინის, შამკოვიჩ — კროგიუსის, ლეინ — ლუტიკოვის, სახაროვ — პეტერსონის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი შეხვედრები გადაიდო.

საქართველოს სპორტკავშირში

ამას წინათ საქართველოს სპორტკავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა საკითხი საზოგადოებრივი განყოფილების — ფიზკულტურა და სპორტი ხალხის ყოფაცხოვრებაში — მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. აღინიშნა, რომ განყოფილება სათანადო ყურადღებას უთმობდა აქტივის შემოკრებასა და მისი დახმარებით ადგილებზე ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესებას, დიასახლისთა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული საქმიანობის გაშლას. საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა ამ ღონისძიების პროპაგანდა და ა. შ.

საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმმა დამაკმაყოფილებლად ცნო განყოფილების მუშაობა და მასვე დაავალა კიდევ უფრო ფართოდ გაშალოს საქმიანობა, რათა მან მთელი რესპუბლიკა მოიცვას. პრეზიდიუმმა დაადგინა განყოფილებასთან შეიქმნას ქალთა შორის მუშაობის სექტორი და მოიწონა განყოფილების წინადადება ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასების ყოფაცხოვრებაში დანერგვის საკითხზე საქართველოს სპორტკავშირის პლენუმის მოწვევისა და ბაკურიანში დიასახლისთა შეკრების ჩატარების შესახებ.

ამ სურათზე, რომელიც ჩვენმა ფოტორეპორტიორმა ფ. კრიმსკიმ ამ დღეებში ბათუმში გადაიღო, აღბეჭდილია ჩოგბურთში საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდის წევრი, ბათუმის მე-8 საშუალო სკოლის უკანასკნელი კლასის მოსწავლე, 17 წლის ნატალია ანტიპინა.

6 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ნატალიამ ხელში პირველად აიღო ჩოგანი. ამ ხნის განმავლობაში მან იმდენად სრულყო ტექნიკა, რომ ახლა პირველთანრიგოსანია.

ანტიპინამ პირველი დიდი წარმატება მოიპოვა შარშან ტალინში გამართულ მოსწავლეთა ზონალურ სპარტაკიადაში — იგი აქ უძლიერესი იყო.

ჰელმსის პრიზთა მფლობელნი

ლოს-ანჟელოსი. აქ გამოქვეყნდა სპორტსმენთა სია, რომელთაც მიენიჭათ ჰელმსის 1964 წლის პრიზები. ამ ტრადიციული ჯილდოებით ყოველწლიურად აღინიშნება ყოველი კონტინენტის 1 საუკეთესო სპორტსმენი.

აზიის კონტინენტზე ეს საპატიო ნადავლი დაიმსახურა ტოკიოს XVIII ოლიმპიადის აბსოლუტურმა ჩემპიონმა ტანვარჯიშში, იაპონელმა იუკიო ენდომ.

აფრიკის სპორტსმენთაგან საუკეთესოდ მიჩნეულია „ტოკიოს ოლიმპიადის ყველაზე დიდი მოულოდნელობის“ ავტორი — 10.000 მეტრზე რბენაში ვერცხლის პრიზიორი მოჰამედ გამუდი (ტუნისი).

ავსტრალიაში ჰელმსის პრიზი გადაეცემა XVIII ოლიმპიური თამაშების ოქროს მფლობელს 400 მეტრზე რბენაში ბეტი კატბერტს.

ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს ცნობილი მძლეოსანი ალფრედ ორტერი, რომლის ნატყორცნი ბადრო ყველაზე შორს დაეცა მელბურნშიც, რომშიც, ტოკიოშიც...

სამხრეთ ამერიკის სპორტსმენებში პრიზი დაიმსახურა ტრინიდადელმა უენდელ მოტლეიმ, რომელმაც ტოკიოში 400 მეტრზე რბენაში II ადგილი დაიკავა. მოტლეი ამჟამად იელის უნივერსიტეტის სტუდენტია.

ევროპის სპორტსმენთა შორის ჟიურიმ უძლიერესად მიიჩნია ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი წინაღობებით 3000 მეტრზე რბენაში გასტონ რულანტსი (ბელგია).

ჰელმსის პრიზების ყველა ლაურეატის გვარები ამოიტვიფრება მთავარი პრიზის ვერცხლის აბრაზე, რომლის მუდმივი ადგილსამყოფელია ლოს-ანჟელოსი.

ხელბურთის ამბები

პარიზი. აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი მეოთხედფინალური მატჩი საფრანგეთისა და დანიის ხელბურთელებს შორის. „ივრიმ“ (საფრანგეთი) დაამარცხა ძლიერი მეტოქე — კოპენჰაგენის „აიაქსი“ — 19:16 (12:10). განმეორებითი მატჩი გაიმართება კოპენჰაგენში 20 თებერვალს. ამ გუნდებში საბოლოოდ გამარჯვებული ნახევარფინალში შეხვდება ზაგრების „მედვეშჩაკსა“ და თბილისის „ბურევესტნიკს“ შორის მოგებულ კოლექტივს.

ბელგრადი. საბოლოოდ დადგინდა თბილისის „ბურევესტნიკისა“ და ზაგრების „მედვეშჩაკის“ ხელბურთელთა მეოთხედფინალური მატჩების გამართვის თარიღები. „მედვეშჩაკის“ მწვრთნელმა ვლად შტენცლმა განაცხადა, რომ იგი თანახმაა თბილისელთა წინადადებაზე პირველი მატჩი (ბელგრადში) ჩატარდეს 7 თებერვალს, ხოლო განმეორებითი (თბილისში) — 13 თებერვალს.

თითქმის ისე, როგორც მეხიკოში

ტოკიოდან მოვიდა ცნობა, რომ ოლიმპიური თამაშების დამთავრებისთანავე ბევრი ოლიმპიური სარბიელი გაუქმდა. ცხადია, საპირისპირო სურათია მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქ მეხიკოში. აქ ინტენსიური მუშაობაა გაჩაღებული ახალი სპორტული ბაზების ასაგებად.

— XIX ოლიმპიადის დაწყებისთვის ყველაფერი რიგზე იქნება, — ირწმუნებიან თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის მუშაკები, რომელთა საკმაო რაზმი კარგა ხანია შეუდგა ბეჯით საქმიანობას.

მაგრამ იმ ქვეყნების სპორტის მესვეურთ, რომელთა წარმომადგენლები მეხიკოში გამოვლენ, რაც დრო გადის, სულ უფრო აწუხებთ ერთი მეტად მტკივნეული საკითხი — სპორტსმენთა აკლიმატიზაცია. მეხიკო ხომ ზღვის დონიდან 2.400 მეტრზე მდებარეობს! და აი, დაიწყო ისეთი სავარჯიშო ადგილების შერჩევა, რომლებიც ასე თუ ისე სიმაღლეში მეხიკოს ჩამოგავს.

ჩვენში არის ასეთი ადგილი — დაბა ბაკურიანი, რომელიც ზღვის დონიდან 1.654 მეტრზე მდებარეობს. ამიტომ იყო, რომ საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და სამკურნალო ფიზკულტურის დისპანსერის ექიმთა ბრიგადა ეწვია ბაკურიანს და შეუდგა მაღალმთიანეთის პირობებში წვრთნის მეთოდიკის დამუშავებას.

ექიმები ირკვევენ, თუ რამდენი დღე დაჭირდებათ სპორტსმენებს აკლიმატიზაციისათვის, როგორი დატვირთვა უნდა მიეცეთ მათ, როგორ იგრძნობენ თავს ასეთ არაჩვეულებრივ პირობებში და სხვ.

ვ. კორჩნოი ახლოსაა მიზანთან

XIII-XVI ტურების მიმოხილვა

კიდევ ორიოდე დღე და ჩემპიონის სახელი ცნობილი გახდება. თუმცა რა დასამალია, ყველა ფიქრობს (და ალბათ ასეც მოხდება), რომ ჩემპიონის ოქროს მედალს კორჩნოი დაისაკუთრებს. ლენინგრადელი დიდოსტატი ისეთი შთამაგონებელი ძალითა და დაჯერებით ლიდერობს ჩემპიონატს, რომ მას მხოლოდ ამისთვის ეკუთვნის ჯილდო. იგი არც ფინიშზე ცხრება. აი, ნახეთ რა დღე აყარა მან რიგელი ოსტატის პეტერსონის მეფეს.

კორჩნოი — პეტერსონი

ლაზიერის მიღებული გამბიტი

1. d4 d5 2. c4 dc 3. მf3 მf6 4. e3 კg4 5. კ:c4 e6 6. h3 კh5 7. მc3 მbd7 8. 0—0 კe7 9. e4 მb6 10. კe2 0—0 11. კe3 კg6 12. კd3 მfd7 13. კf4 კd6 14. e5 კ:d3 15. ლ:d3 კe7 16. ეad1 ეe8 17. ლe4 c6 18. ეd3 მd5 19. კc1 მf8 20. h4 მ:c3 21. bc ლd5 22. ლg4 f5 23. ef კ:f6 24. მg5 ლd5? 25. ლe2 h6 26. მe4 კe7 27. ეf3 ლd5 28. კ:h6! gh 29. ეg3+ მფf7 30. ლg4 ეed8.



პეტერსონს არც სხვა გაგრძელება შველოდა. თუ 30. ... კf6, მაშინ 31. ლg8+ მფe7 32. მ:f6 მფ:f6 33. ლg7+ მფf5 34. ლf7+ მოგებით. თეთრები იგებენ 30. ... ეec8 შემდეგაც 31. c4 ლa5 32. ლg8+ მფe8 33. ეf3.

31. ლg7+ მფe8 32. ლ:e7+! შავები დანებდნენ გარდუვალი შამათის გამო.

კორჩნოის აქტივშია ყველაზე მეტი მოგება — 10. მაგრამ მოგებაც არის და მოგებაც! მან ხომ ტალი, ბრონშტეინი, ავერბახი, ხოლმოვი და ვასიუკოვი „დააჩოქა“.

— იშვიათ ფორმაშია, — თქვა მასზე ბრონშტეინმა. — ნაღდად ჩემპიონობის ღირსია.

თვით ბრონშტეინი, რომელიც ჭაბუკური შემართებითა და პათოსით უტევს მეტოქეებს, ვერცხლის მედლის რეალური კანდიდატია. სამაგიეროდ, ბრინჯაოზე ერთმანეთს ეცილებიან ტალი და შტეინი.

ჩემპიონატის მიტელშპილში ტალს საშიში ქიში გამოუცხადა ... გრიპმა. ამიტომ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ხან სასტუმროში თამაშობდა, ხან კიდევ... სულაც არ შეეძლო ბრძოლა. ბოლოს 5 (!) პარტია დაუგროვდა: 4 დასამთავრებელი და ერთიც (ბანიკთან) მთლიანი სათამაშო. ავადმყოფი ტალი დიდ გაწამაწიაში იყო — არჩევდა გადადებულ პარტიებს და ახალი „შეტაკებებისთვის“ ემზადებოდა.

— მიყვარს, როცა ასე მიჭირს, — ამბობდა იმ მძიმე დღეებში ტალი.

ყველაფერი კეთილად დამთავრდებოდა, საყაიმო პარტია რომ არ წაეგო კორჩნოისთან.

რიგელ დიდოსტატს მაშინ თეორიულად I ადგილის შანსებიც კი ექნებოდა. მხოლოდ კიევის უცნაური ზამთრის ბრალია, რომ ვერ ვიხილეთ ტალისა და კორჩნოის ნამდვილი სპორტული დუელი. მოგაგონებთ, რომ უკანასკნელ 7 ტურში მხოლოდ ტალმა შეძლო 6 ქულის მოგროვება! და ეს მაშინ, როცა მას „უჭირდა“.

აღსანიშნავია ისიც, რომ გრიპმოხდილი ტალი მაინც არ ეშვება პაიკებისა და ფიგურების შეწირვებს. ეს ყველაფერი ხომ უზომოდ დიდ ენერგიას მოითხოვს? მაგრამ უკვე გვიანაა: კორჩნოის დაწევა... მხოლოდ სიზმარში თუ შეიძლება.

ერთ მომენტში შტეინმაც „აიწყვიტა“ (VII—XIII ტურებში 6 ქულა დააგროვა), მაგრამ შემდეგ კვლავ ყაიმების გზას დაადგა, ბოროტი ხმები დადის: კორჩნოისთან მოსაგები პოზიციის მოუგებლობამ დაანაღვლიანაო.

ფინიშზე ოდნავ წაიბორძიკა შამკოვიჩმა, რომელიც დიდოსტატის სახელის მოპოვების პრეტენდენტია. მას ტალმა მოუგო. ახლა მთავარია, უხიფათოდ განვლოს ვასიუკოვი, ლუტიკოვი, კროგიუსი, რომლებიც კარგი თამაშით ვერ დაიტრაბახებენ. ვასიუკოვმა ვერ გაუძლო დამუხტულ ბრძოლას და ზედიზედ ორი პარტია წააგო, ხოლო ლუტიკოვი და კროგიუსი ყაიმებით კმაყოფილდებიან.

ხალისიანად გამოიყურება ხოლმოვი, რომელიც III ადგილს „უმიზნებს“. სხვები, როგორც ჩანს, შეურიგდნენ ბედს და უკვე ახლა ფიქრობენ რევანშზე... ამ წლის ბოლოს — XXXIII ჩემპიონატში.

ე. ბუჩმა.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).
კიევი.

სსრ კავშირის
XXXII საჭადრაკო
ჩემპიონატი

ველოსპორტის მოყვარულთათვის

მშვენიერი თეთრ-ცისფერი ველოსიპედი. ეს ხარკოვის ველოქარხნის ახალი ტურისტულ-სპორტული მოდელი „B-37“-ა. მისი წინამორბედის „B-34“-სგან განსხვავებით მას აქვს გაუმჯობესებული კონსტრუქციის მუხრუჭი სიმეტრულად განლაგებული საწევარით (რაც გამორიცხავს სახელურის გადახრას), გაძლიერებული სატერფული, უფრო სრულყოფილი კონსტრუქციის უნაგირი, გადაცემის გადამრთველი და უკანა მილის ჭრიალა. მანქანაზე დადგმულია დურალუმინის ნაგლინისგან დამზადებული ბორბალთა ფართო ფოსო, სპორტული ტიპის საჭე, სატერფულები, რომლებიც ტუკლიპსების დადგმის საშუალებას იძლევა, რაც ველოსიპედს სპორტული წვრთნისთვის გამოსადეგს ხდის. უკანა ბორბლის მილი უმუხრუჭოა და აქვს სამხისწრაფიანი ჭრიალა.

ხარკოვის ველოქარხანა მალე შეუდგება ახალი მოდელის სერიულ გამოშვებას.

ხოფლის ახალგაზრდობისთვისაა გამიზნული ბრიანსკის ოლქის ჟუკოვსკის ველოქარხნის ახალი მოდელის ტურისტული ტიპის ველოსიპედი „უროჟაი“. ამგვარი ტიპის მანქანა ჩვენს ქვეყანაში პირველად შეიქმნა. მისი დამახასიათებელი თვისებაა მაღალი სიმკვრივე და კონსტრუქციის სიმტკიცე, რაც ყველაზე ურთულეს საგზაო პირობებში მანქანის ხანგრძლივად გამოყენების საშუალებას იძლევა. „უროჟაიზე“ დადგმულია ფართო საბურველები, გაუმჯობესებული ამორტიზატორი, გაზრდილი საფარები (რომლებიც ველოსიპედისტსა და მანქანას მტვრისა და ჭუჭყისგან იცავს), მოხერხებული ფორმის საჭე, დამატებითი საბარგული.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის სახალხო მოხმარების საუკეთესო ნიმუშის საქონლის პავილიონის საექსპერტო საბჭომ ორივე მანქანა დაამტკიცა.

სურათებზე: ქვევით — „B-37“; ზევით — „უროჟაის“ ახალი მოდელი.

ფოტო ი. დოლიაგინისა.



ვარაუდი არ გამართლდა

აფროსნობა სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის პროგრამაშია შეტანილი. ეს სახეობა კი ჩვენს რესპუბლიკაში შედარებით ახალი ხილია და მხოლოდ შავი ზღვისპირა ქალაქებშია ასე თუ ისე კულტივირებული. ცხადია, იქ აღზრდილ რამდენიმე სპორტსმენზე დაყრდნობით ძნელია რესპუბლიკური ნაკრების შექმნა. ამდენად, დროული იყო საქართველოს სპორტკავშირის გადაწყვეტილება, რომ თბილისის ზღვაზე აფროსანთა კლუბი ჩამოყალიბებულიყო და იგი უზრუნველეყოთ სათანადო ინვენტარით.

სამწუხაროდ, საქართველოს ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა ცენტრალური და რესპუბლიკური საბჭოები ჯერ კიდევ ჯეროვნად არ ზრუნავენ გუნდების ჩამოყალიბებისა და მათთვის წვრთნის ნორმალური პირობების შექმნისთვის.

აფროსნობამ თბილისში განსაკუთრებით უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობა მიიზიდა. მოსალოდნელი იყო, რომ „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭო მხარს დაუჭერდა სპორტსმენთა დაინტერესებას, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა.

სპორტულმა საზოგადოებებმა და საქართველოს განათლების სამინისტრომ ახლავე, ვიდრე გვიან არაა, გადამჭრელი ღონისძიება უნდა გაატარონ თბილისში სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის და ყოველნაირად შეუწყონ ხელი კლუბს საქმიანობის გაშლაში.

რ. კაფიანი,
თბილისის აფროსანთა კლუბის საბჭოს წევრი.

„ლელოს“ წერილის კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის ა. წ. 9 იანვრის ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით — „გავხადოთ რიწის ტბა ჩემპიონთა და რეკორდსმენთა სამჭედლოდ“. წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა ნიჩბოსნობის რესპუბლიკურ ფედერაციას.

„რიწის ტბის ძირითად სასწავლო-საწვრთნელ ბაზად გადაქცევის საკითხი რესპუბლიკურ ფედერაციასა და წამყვან მწვრთნელებს დიდი ხანია აწუხებთ. იგი 1962-63 წლებში, სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში წამოიჭრა, მაგრამ მთელი რიგი ხელშემშლელი პირობების გამო ეს საკითხი მაშინ არ გადაჭრილა. საქართველოს ნიჩბოსნობის ფედერაციას და მწვრთნელთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ რიწაზე ჩატარებული სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა საგრძნობლად აამაღლებს გუნდების მომზადებას, რისთვისაც დასახულია სათანადო ღონისძიება“, — გვწერს ფედერაცია.

[illegible]

გაგრა

გაიმართა რკინიგზის სადგურის ფიზკულტურელთა აქტივის კრება, რომელმაც მოისმინა საქართველოს პროფსაბჭოს IV საზაფხულო სპარტაკიადისთვის მზადების საკითხი. კრებაზე ამხილეს რკინიგზელ ფიზკულტურელთა საქმიანობაში არსებული ხარვეზები, დასახეს მათი დაძლევის გზები.

გ. ჩხიკვაძე.

თელავი

აქ საინტერესო, სპორტულ ბრძოლებში განვლო თელავის საშუალო სკოლების გუნდურმა პირველობამ ჭადრაკში. თვითეულ გუნდში შედიოდნენ გოგონები და ჭაბუკები. ჩემპიონობა მოიპოვეს მე-4 საშუალო სკოლის ნორჩმა მოჭადრაკეებმა.

გ. ფინკო.

დაუმთავრებელი ვარჯიში

— სამი იარაღის შემდეგ პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ მსოფლიოს ჩემპიონი იური ტიტოვი და ახალგაზრდა ქართველი ტანმოვარჯიშე ჯემალ...

დიქტორის ხმა უცბად შეწყდა.

რამდენიმე ათასმა მაყურებელმა ერთდროულად ამოიგმინა. ტანმოვარჯიშეები და მსაჯები ღერძთან მიცვივდნენ...

სასწრაფო დახმარების მანქანამ დაშავებული სპორტსმენი რიგის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ინსტიტუტში მიიყვანა.

ექიმების დასკვნა ულმობელი აღმოჩნდა...

ასე, სრულიად ბრმა შემთხვევის გამო, დაიღუპა ჯემალ ფრიდონიშვილი.

ეს ზუსტად ერთი წლის წინ მოხდა. ქართველ ტანმოვარჯიშეთა რიგებს გამოაკლდა საუკეთესო წარმომადგენელი: 23 წლის ჯან-ღონით სავსე, ყველასათვის საყვარელი ადამიანი.

ჯემალი ადრე ეზიარა სპორტს. ამის მიზეზი უფროსი ძმა — სპორტის ოსტატი ნოდარ ფრიდონიშვილი გახლდათ.

სკოლის დამთავრების შემდეგ ჯემალი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში ხვეწდა ოსტატობას. ინსტიტუტის დამთავრება ორმაგად იზეიმა: დიპლომთან ერთად საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდებაც მიიღო.

შემდეგ კი... ვინ მოთვლის, რამდენი გამარჯვება მოვიდა მისდა წილად: სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს მრავალგზის ჩემპიონობა, პროფკავშირების ჩემპიონობა, წარმატებები მრავალ საერთაშორისო ასპარეზობაში...

მაგრამ ყველაზე დიდი სიხარული ჯემალმა მაშინ განიცადა, როდესაც

თავის თანაგუნდელებთან ერთად სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე ფიზკულტურის კოლექტივებს შორის გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური დაიკავა. მაშინ მათს საპატივცემოდ საქართველოს სსრ ჰიმნი აჟღერდა... ჩვენი დროშა მაღლა მიიწევდა. ათი ათასი მაყურებელი კი ფეხზე იდგა და ტაშის ცემით ეგებებოდა გამარჯვებულთ.

ჯემალ ფრიდონიშვილის ხანმოკლე სიცოცხლე მეტეორივით უცბად არ ჩამქრალა. ის ერთხელ აენთო და ასე ანთებული დარჩა ამხანაგების, მეგობრებისა და აღმზრდელების გულებში. ვერცხლის გარდამავალი თასი, რომელზეც ლამაზი, შავთვალწარბა ბიჭია გამოხატული, ერთხელ უკვე გათამაშდა. ეს თასი ყოველ წელს ტრადიციული იქნება.

გ. ყირმელაშვილი,
სპორტის ოსტატი.

რკინიგზელებმა დასახეს მომავლის ამოცანები

ამას წინათ თბილისში გაიმართა ამიერკავკასიის რკინიგზის „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს II პლენუმი, რომელმაც მოისმინა ჩატარებული მუშაობის შედეგებისა და პროფსაბჭოს საზაფხულო სპარტაკიადაში მონაწილეობის საკითხი.

მოხსენებით გამოვიდა საგზაო საბჭოს სასწავლო-სპორტული განყოფილების გამგე ა. გიორგობიანი. მან ილაპარაკა რკინიგზელ სპორტსმენთა მიერ მოპოვებულ წარმატებებზე და ფართოდ შეჩერდა საქართველოს პროფსაბჭოს სპარტაკიადაში წარმატებით მონაწილეობისთვის მათს სამზადისზე.

კამათში გამოსულებმა — აზერბაიჯანის რაისაბჭოს თავმჯდომარემ ნ. დრუჟინინმა, სამტრედიის რაისაბჭოს თავმჯდომარემ რ. ჟორჟოლიანმა, ერევნის რაისაბჭოს თავმჯდომარემ გ. დავთიანმა, თბილისის რაისაბჭოს თავმჯდომარემ მ. ბალდასაროვმა, მწვრთნელებმა ვ. უზუნოვმა (ტანვარჯიში), გ. ჩადუნელმა (მძლეოსნობა) და სხვებმა ამხილეს ნაკლოვანებანი და დასახეს მათი დაძლევის გზები. შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს თავმჯდომარე თ. კაპანაძე.

რ. პოლოსოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1965 წლის სსრ კავშირის ჩემპიონატის
კალენდარი
ფეხბურთში
I წრე

თბილისის „დინამოსათვის“

აპრილი

15. „დინამო“ (თბ.) — „ჩერნომორეცი“.
21. „დინამო“ (თბ.) — „დინამო“ (მნ.).
27. „ტორპედო“ (ქ.) — „დინამო“ (თბ.).

მაისი

4. „ლოკომოტივი“ — „დინამო“ (თბ.).
10. „სპარტაკი“ — „დინამო“ (თბ.).

ივნისი

6. „დინამო“ (თბ.). — „ზენიტი“.
13. „დინამო“ (თბ.) — „დინამო“ (მ.).
20. „დინამო“ (თბ.). — „შახტიორი“.
27. „დინამო“ (თბ.) — „კრილია სოვეტოვი“ (ნაკრების წევრთა გარეშე).

ივლისი

1. „დინამო“ (თბ.) — „პახტაკორი“.
6. „ტორპედო“ (მ.) — „დინამო“ (თბ.).
10. სკა (ოდ.) — „დინამო“ (თბ.).
15. „დინამო“ (კ.) — „დინამო“ (თბ.).
19. „დინამო“ (თბ.) — სკა (როსტ.).
23. ცსკა — „დინამო“ (თბ.).
27. „დინამო“ (თბ.) — „ნეფტიანიკი“.

ქუთაისის „ტორპედოსათვის“

აპრილი

15. „ტორპედო“ (ქ.) — „დინამო“ (მნ.).
21. „ტორპედო“ (ქ.) — „ჩერნომორეცი“.
27. „ტორპედო“ (ქ.) — „დინამო“ (თბ.).

მაისი

8. „ტორპედო“ (მ.) — „ტორპედო“ (ქ.)
24. „სპარტაკი“ — „ტორპედო“ (ქ.).

ივნისი

6. „ტორპედო“ (ქ.) — „დინამო“ (მ.).
13. „ტორპედო“ (ქ.) — „შახტიორი“.
20. სკა (როსტ.) — „ტორპედო“ (ქ.).
27. „ზენიტი“ — „ტორპედო“ (ქ.).

ივლისი

1. „ტორპედო“ (ქ.) — „კრილია სოვეტოვი“.
7. „ტორპედო“ (ქ.) — „პახტაკორი“.
11. „დინამო“ (კ.) — „ტორპედო“ (ქ.).
15. „ტორპედო“ (ქ.) — „ლოკომოტივი“.
19. „ტორპედო“ (ქ.) — „ნეფტიანიკი“.
23. სკა (ოდ.) — „ტორპედო“ (ქ.).
27. ცსკა — „ტორპედო“ (ქ.).

შენიშვნა: კალენდარში შესაძლო ცვლილებები გამოქვეყნდება „ლელოს“ ფურცლებზე.

სანამ ბურთი ისვენებს...

რა თქმა უნდა, ფეხბურთის ბურთი ისვენებს, მხოლოდ შეჯიბრებებისაგან. დარბაზში მას ახლა მოსვენება არა აქვს. ჩვენი პოპულარული ფეხბურთელები ვარჯიშობენ და არა მარტო ბურთით: მათ ნახავთ თხილამურებით, ციგურებით, ნახავთ სპორტთამაშობათა მოედნებზე, აუზებში...

სანამ ეს წვრთნა მიმდინარეობს, ჩვენ ვიყავით სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში. აქ, ამ „გენერალურ შტაბში“ ახალი სეზონის წინ ცხარე მუშაობაა გაჩაღებული. აზუსტებენ ჩვენი ქვეყნის ახალი ჩემპიონატის რეგლამენტს, საზრუნავის ერთ-ერთ მთავარ ობიექტს წარმოადგენს შესარჩევი შეხვედრები მსოფლიო პირველობაზე, ადგენენ ახალ ახალგაზრდულ ნაკრებს, რომელიც შესაძლოა მომავალში ოლიმპიურ ნაკრებად იქცეს. გარდა ამისა, სსრ კავშირის თასი, საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრები, რომელთა რაოდენობა 300-ს მიაღწევს.

უცხოელ კოლეგებთან მოლაპარაკება საჭიროა დროულად, ახლავე.

სხვების იმედით ნუ დარჩებით...

სპორტტექნიკური კომისიის სამდივნო კისრამდეა ჩაფლული ქაღალდებში. მის „კარში“ მოფრინავენ წინასწარი განაცხადები სსრ კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობისთვის. „ა“ კლასის II ჯგუფის დებიუტანტთა შორის ვხედავთ „როსტსელმაშს“ (დონის როსტოვი), „თერგს“ (გროზნო), „ლოკომოტივს“ (ვინიცა), „პოლიტგანყოფილებას“ (ტაშკენტის ოლქი). ეს უკანასკნელი შეიძლება ორგზის დებიუტანტად ჩაითვალოს, ვინაიდან იგი სოფლის ფეხბურთელთა პირველი კოლექტივია, რომელიც უმაღლეს ლიგაში გამოვა. განა შეიძლება სოფლის ფეხბურთელებს წარმატება არ უსურვო?!

სახელობითი განაცხადების რაოდენობა უკვე 400-ზე მეტია. მაგრამ კომისიაში მხოლოდ განაცხადები როდი შემოდის. აქ ყოველ დღე მოდიან გუნდების მწვრთნელები, ხელმძღვანელები. ჩვენ, მაგალითად, შევესწარით სპორტის დამსახურებულ ოსტატ მ. იაკუშინს, სახელგანთქმული ვეტერანი ახლა ტაშკენტის „პახტაკორის“ უფროსი მწვრთნელია. იაკუშინი ერთადერთი არაა, რომელმაც აღსაზრდელები გამოიცვალა. ასეთი მწვრთნელების რაოდენობა საგრძნობია.

სამაგიეროდ, მოთამაშეები თითქმის მთლიანად დარჩნენ თავიანთი გუნდების ერთგულნი. „ა“ კლასის კოლექტივები მთელ იმედებს ძირითადად საკუთარ ძალებზე, თავიანთი მოსამზადებელი ჯგუფების ახალგაზრდებზე ამყარებენ და „სხვათა“ იმედი არა აქვთ.

საქმეები მოგვითხრობს

ყურადღება... ბალახს!

ჯერ კიდევ არ შემწყდარა მწვრთნელთა განვლილი საკავშირო თათბირის შედეგების განხილვა და ფედერაცია უკვე ახალ თათბირს ამზადებს. აქ საუბარი იწარმოებს ჩვენი ფეხბურთის მომავალზე, მათს შესახებ, ვინც უნდა მოვიდეს ახლანდელ ოსტატთა შემცვლელებად.

...მაგრამ დავუბრუნდეთ აწმყოს. სპორტნაგებობათა და ინვენტარის კომისიაში ახლა დიდი ყურადღება ეთმობა... ბალახს. ჯერჯერობით კარგი ბალახი არის მხოლოდ ჩვენს უდიდეს სტადიონებზე, მაგრამ კარგი იქნებოდა, რომ იგი ყველას ჰქონოდა. და ასეც იქნება. პოლონელი მეგობრები დაგვპირდნენ გამოგვიგზავნონ 800 ტონა საუკეთესო საფეხბურთო ბალახის თესლი.

მსაჯები ვინ არიან?

ჩემპიონატის არბიტრთა სიის შედგენას ამთავრებს საკავშირო კატეგორიის მსაჯი ა. მენშიკოვი. სიაში 80 გვარია. ვეტერანებთან ერთად აქ მრავლად არიან ახალგაზრდები, რომლებმაც შარშან კარგი მსაჯობით გამოიჩინეს თავი.

თვით არბიტრები კი, ისევე, როგორც მათივე მომავალი „ბრალდებულნი“, ვარჯიშობენ დარბაზებში და ღია ცის ქვეშ.

ფედერაციამ გადაწყვიტა, რომ უძლიერესი გუნდები ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად სამხრეთში გაემგზავრონ თავიანთი საუკეთესო ფეხბურთელების გარეშე. ეს უკანასკნელნი შეიკრიბებიან მოსკოვში და საწვრთნელი მატჩების ჩასატარებლად მალე გაემგზავრებიან საზღვარგარეთ.

აი, გამოჩნდა, სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ნ. მოროზოვი. იგი სულ ახლახან დაბრუნდა ბაქოსა და თბილისიდან, სადაც მივლინებაში იმყოფებოდა ნაკრების კანდიდატთა სპორტული ფორმის შესამოწმებლად. მაგრამ ამ სამხრეთელი ფეხბურთელების სახელებს იგი ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავს.

რაც შეეხება მოსკოველებს, ნ. მოროზოვი მათ სულ მალე იხილავს ნამდვილი ბრძოლის დროს: ლუჟნიკის დათოვლილ მინდორზე გაიმართება მატჩი „ტორპედოსა“ და „ლოკომოტივს“ შორის, სადაც, სხვათა შორის, პირველად მიმართავენ „თამაშგარე მდგომარეობის“ ახალ წესებს. ოფსაიდის ფიქსირება მოხდება არა მინდვრის ცენტრიდან, არამედ მხოლოდ საჯარიმო მოედნის ხაზიდან. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას მიაჩნია, რომ თამაში ამით უფრო საინტერესო გახდება და ეროვნულ ფედერაციებს წინადადება მისცა გამოცადონ ეს ახალი წესი.

ახალი ზელანდიის „აღმოსაჩენად“

ფედერაციაში შევიტყვეთ, რომ ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში სულ მალე გაემგზავრება მოსკოვის „ტორპედო“. ჩვენი ვიცე-ჩემპიონი მელბურნის ოლიმპიადის შემდეგ მეორედ წარმოადგენს საბჭოთა ფეხბურთს „მწვანე კონტინენტზე“, ხოლო ახალ ზელანდიაში „ტორპედოს“ კოლუმბის როლი ეკისრება. ჩვენი ფეხბურთელები ჯერ არა ყოფილან ახალ ზელანდიაში.

საბჭოთა ფეხბურთელებს 1965 წელს საერთაშორისო შეხვედრები ექნებათ ყველა კონტინენტის გუნდებთან. ჩვენს ქვეყანაში მოწვეულია მრავალი განთქმული კლუბი. მაგალითად, სსრ კავშირში 3 შეხვედრას ჩაატარებს ინგლისის კლუბი „სტოკ სიტი“, სადაც ჯერ კიდევ გამოდის გამოჩენილი ვეტერანი სტენლი მეტიუზი. 1 თებერვალს მას 50 წელი უსრულდება და ჩვენმა ფედერაციამ იუბილარს სიამოვნებით გაუგზავნა მისალოცი წერილი.

მოდის დეპეშები საფრანგეთიდან, იტალიიდან, ბრაზილიიდან, უნგრეთიდან. ყველა ქვეყნის სპორტსმენებს სურთ საბჭოთა ფეხბურთელებთან შეხვედრა.

ა. კაჩალოვი,
ვ. სერგეევი.

„რეკორდსმენები“...

- სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში, ყველაზე მეტჯერ ითამაშა მოსკოვის „დინამოს“ მეკარე ლ. იაშინმა. 1964 წელს მან ამ მაჩვენებლით აჯობა ი. ნეტოს. თბილისელთაგან სსრ კავშირის I ნაკრების შემადგენლობაში ყველაზე მეტჯერ აქვთ ნათამაშევი მ. მესხსა და ს. მეტრეველს — 24 თვითეულს. გ. ჩოხელს უმაღლეს დონეზე ჩატარებული აქვს 19 მატჩი. მათს გარდა, პირველი ნაკრების შემადგენლობის ოფიციალურ შეხვედრებში მონაწილეობა აქვთ მიღებული ა. ღოღობერიძეს, ა. ჭკუასელსა და სხვ.
- თბილისელთა თავდამსხმელები ოთხჯერ იყვნენ საუკეთესო ბომბარდირთა სათავეში. 1951 წელს ეს იყო ა. ღოღობერიძე, 1953 წელს კვლავ ა. ღოღობერიძე ნ. სიმონიანთან (მოსკოვის „სპარტაკი“) ერთად და 1959-60 წლებში — ზ. კალოევი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1952 წელს თბილისელი ა. ზაზროევი სეზონის საუკეთესო სნაიპერი იყო კიევის „დინამოს“ შემადგენლობაში.



როგორც ცნობილია, სსრ კავშირის საფეხბურთო პირველობის უმაღლეს ლიგაში საქართველო წარმოდგენილია 3 გუნდით: თბილისის „დინამო“ და ქუთაისის „ტორპედო“ გამოდიან „ა“ კლასის I ჯგუფში, ხოლო თბილისის „ლოკომოტივი“ — II ჯგუფში.

რკინიგზელმა ფეხბურთელებმა წინასასეზონო წვრთნა ჩაატარეს ბაკურიანში, რის შემდეგ დაბრუნდნენ თბილისში.

სურათზე: „ლოკომოტივის“ მოთამაშეები მწვრთნელის თ. მელაშვილის ხელმძღვანელობით (მარჯვნიდან მეორე) აწარმოებენ დილის ფიზდავარჯიშს ბაკურიანის თოვლიან მიდამოებში.

ფოტო თ. გაჩეჩილაძისა.

პრობლემები, პრობლემები...

სულ ახლახანს მოსკოვში გაიმართა „ა“ კლასის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების უფროსი მწვრთნელების, უფროსებისა და ექიმების საკავშირო კონფერენცია. ჩვენს რედაქციას ეწვია თბილისის „დინამოს“ კოლექტივის უფროსი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ღოღობერიძე, რომელმაც გაგვიზიარა კონფერენციაზე მიღებული შთაბეჭდილებანი.

— მთავარი, რასაც ხაზი გაესვა კონფერენციაზე, — თქვა ა. ღოღობერიძემ, — იყო ის, რომ წელს საწვრთნელი ვარჯიშების, საერთო დატვირთვის ინტენსიობა გაცილებით გაიზრდება ადრინდელთან შედარებით. პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ს. სავინმა წარმოადგინა პერსპექტიული და მიმდინარე დაგეგმვის ახალი მეთოდი. მეცადინეობის ინტენსიობა „ა“ კლასის მოთამაშეთათვის შარშანდელთან შედარებით უნდა გაიზარდოს თითქმის ერთი-ორად, რაც დღეში შეადგენს 5 საათს. რა თქმა უნდა, ეს სიახლე უდიდეს მოთხოვნილებებს უყენებს ჩვენს გუნდებს, მაგრამ, ჩემი აზრით, არ შეიძლება საწვრთნელი დატვირთვის ახლებურად დაყენების საკითხს დოგმატურად მივუდგეთ. ჩვენ, თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობას, გადაწყვეტილი გვქონდა გაგვეზარდა სამეცადინო საათების რაოდენობა და ინტენსიობა, მაგრამ ძირითად, საშეჯიბრებო პერიოდში თვითეული ფეხბურთელის ვარჯიშის საკითხი უნდა განვიხილოთ ინდივიდუალური მიდგომის წესით. ზოგიერთი მოთამაშე კალენდარული მატჩების მსვლელობაში იქანცება, არის გადაწვრთნის შემთხვევებიც და ამ დროს მათ გარკვეული დასვენების შესაძლებლობა უნდა მივცეთ. გარდა ამისა, იმ პერიოდში, როცა გუნდი გასვლით მატჩებს თამაშობს, უბრალოდ არ გვყოფნის საწვრთნელი ბაზები, ამგვარი (ახლებური) მზადების ჩასატარებლად. ამ საკითხზე გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა სპეციალისტებმა გ. კაჩალინმა, ე. ფოკინმა, ნ. ლიუკშინოვმა, ბ. აპუხტინმა, ბ. არკადიევმა, ა. სევიდოვმა, ა. ნოვიკოვმა და სხვ.

საინტერესო მოხსენებით გამოვიდა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მოშკარკინი — 1964 წლის სეზონის შედეგები და მომავალი ამოცანები. დიდი სარგებლობა მოუტანა კონფერენციის მონაწილეებს სასემინარო მეცადინეობამ, რომელიც ჩაატარა პროფესორმა ნ. ოზოლინმა. მეცადინეობის თემას შეადგენდა აღდგენითი პროცესების მნიშვნელობა მოთამაშეთათვის კალენდარული მატჩებით დატვირთული პერიოდის დროს.

მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის დოცენტმა რ. მოროზმა სემინარზე დამსწრეებს გააცნო მეცნიერების ახალი მიღწევები ძალის გამომუშავება-განვითარებაში. საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს მეცნიერებათა კანდიდატებმა ნ. გრაევსკაიამ, გ. ჩერნიაევმა, ვ. ფილინმა, გ. გაგაევამ, პროფესორმა ა. კორობკოვმა და სხვ.

„ა“ კლასის კოლექტივების უფროსი მწვრთნელებისა და უფროსების წინაშე ლექციით — „თანამედროვე ფეხბურთის ტაქტიკის საკითხები“ — გამოვიდა სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. კაჩალინი.

— კონფერენციის ძირითად შინაარს, — თქვა დასასრულს ა. ღოღობერიძემ, — წარმოადგენდა ფეხბურთის უფრო მჭიდრო კონტაქტი მეცნიერებასთან.

პირველი დამოუკიდებელი მოგზაურობა უცნაურ სამყაროში.

ფოტოეტიუდი ფ. კრიმსკისა.

▲ **მიუნხენი.** კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალებში ერთმანეთს შეხვდებიან ვაჟთა გუნდები: „რეალი“ (ესპანეთი) — „ვილორბანი“ (საფრანგეთი), „ბეოგრადი“ (იუგოსლავია) — აეკ (საბერძნეთი), „იგნისი“ (იტალია) — „სპარტაკი“ (ჩეხოსლოვაკია).

▲ **მელბურნი.** მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის ფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვეს ავსტრალიისა და აშშ-ის სპორტსმენებმა. ამერიკელებმა ნახევარფინალში სძლიეს ინგლისელებს (3:0), ხოლო ავსტრალიელებმა ასეთივე ანგარიშით — ფრანგებს.

▲ **ლონდონი.** ჩეხოსლოვაკიისა და ინგლისის ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრაში გამარჯვება მოიპოვეს ჩეხოსლოვაკელმა ვაჟებმა (5:1) და ინგლისელმა ქალებმა (3:2).

მასაც პელეს ეძახიან

Სახელგანთქმული ბრაზილიელი ფეხბურთელის პელეს სახელი ფართოდაა ცნობილი მთელ მსოფლიოში. მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ ამ სახელმოხვეჭილ სპორტსმენს ჰყავს მეტოქე, რომელიც ბრაზილიის საფეხბურთო მინდვრებზე კი არ გამოჩენილა, არამედ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

მასაც პელეს ეძახიან. საერთოდ, იგი სულეიმან შერეფია, მაგრამ ბრაზილიელის ნამდვილი სახელიც ხომ პელე არ არის, არამედ ედსონ დო ნასიმენტო. შერეფს ეს მეტსახელი ფეხბურთში წარმატებებისთვის შეარქვეს.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სულეიმანი გვინეიდან ჩამოვიდა. მან დაამთავრა დრეზდენის გერმანული ენის მოკლევადიანი კურსები, შემდეგ ნოიბრანდენბურგის საოლქო ცენტრში დაიწყო სწავლა ინჟინრობაზე.

ეს მოქნილი, მოძრავი, ფეხბურთის შეყვარებული ბიჭუნა თავისი ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრებში შედიოდა, მონაწილეობდა გდრ-ის ჭაბუკთა ნაკრებთან მატჩში, რომელიც კონაკრიში ჩატარდა. მაშინ მასპინძლებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1 და შერეფი გვინეის ნაკრებში შეიყვანეს. მერე იგი სასწავლებლად წავიდა.

და აი, ნოიბრანდენბურგის სტადიონთან გავლისას, სულეიმანმა დაინახა როგორ ვარჯიშობდნენ ადგილობრივი კლუბის ფეხბურთელები. საკმარისი იყო ბურთს შეხებოდა, რომ ყველა გააოცა მისმა ბრწყინვალე ტექნიკამ.

ეს იყო 2 წლის წინათ. მას შემდეგ სულეიმანი ამ კლუბის წევრია და გოტფრიდ ეისლერის ხელმძღვანელობით სრულყოფს ტექნიკას.

შერეფს მაღალი ტექნიკა, ძლიერი დარტყმა და შესანიშნავი ტაქტიკური აზროვნება ახასიათებს და ამიერიდან პელედ წოდებული, იგი მალე გახდა გუნდის მთავარი თავდამსხმელი. შარშანდელ სეზონში მეტოქეთა კარში მან 13 ბურთი გაიტანა და დიდი წვლილი შეიტანა ამ კლუბის ფეხბურთელების I ლიგაში გადასვლაში.

— ჩემთვის, რა თქმა უნდა, ძნელი იქნება გერმანელ მეგობრებთან დაშორება, — ამბობს „პელე“. — მაგრამ მე ჩქარა გავხდები ინჟინერ-მშენებელი და გავემგზავრები სამშობლოში, რათა დავეხმარო ჩემს ქვეყანას როგორც სპეციალისტი და ალბათ, როგორც ფეხბურთელიც.

ე. ბაშმაჩნიკოვი.

ამერიკელ ქალიშვილებს ტვისტი უფრო ხიბლავთ

ჯესი ოუენსი

ტურინის გაზეთ „ტუტოსპორტში“ ყოფილი „სპრინტერთა მეფე“ ჯესი ოუენსი წერს:

„ტოკიოში ამერიკელმა მძლეოსანმა ქალებმა არა მარტო ღირსშესანიშნავ შედეგებს ვერ მიაღწიეს, არამედ დაამტკიცეს, რომ ჩვენ, ამერიკელებს, არა გვაქვს მძლეოსან ქალთა საკუთარი სკოლა, ისეთი როგორიც შექმნეს, მაგალითად, ჩვენმა მოცურავე ქალებმა. ამის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ თანამედროვე გოგონებს ტვისტი უფრო ხიბლავთ, ვიდრე, მაგალითად, 80 მეტრზე თარჯრბენი.

მე გულს მტკენს იმის აღიარება, რომ შეერთებულ შტატებში არა გვყავს მწვრთნელი, რომელიც შეძლებდა გოგონა პირველი ნაბიჯიდან ოლიმპიურ თამაშების მიჯნამდე ევარჯიშებინა, არ შეიძლება ვაჟი სპრინტერისა და ქალიშვილის ერთად წვრთნა, ერთიდაიგივე რჩევის მიცემა.

◆

პირველ ყოვლისა, საჭიროა ახალგაზრდობაში გავაღვიძოთ სპორტის ამ სახეობისადმი სიყვარული. მე დავალებული მაქვს ჩავატარო მოხსენებათა ციკლი და დამსწრეთ ვაჩვენო მძლეოსნობის სილამაზე, ცოტათი მაინც აღვადგინო სპორტის ამ სახეობის პრესტიჟი ამერიკაში. და მეც ყოველ ღონეს ვიხმარ, რათა ამ საქმეში ჩემი წვლილიც შევიტანო. ჩვენთან ბევრი ქალიშვილია, რომელთაც შეუძლიათ კარგ შედეგებს მიაღწიონ. არც ტექნიკური მოწყობილობანი გვაკლია. ამის მიუხედავად, ჩვენ წინაშეა მძიმე ამოცანა, რომლის გადაწყვეტას, სულ ცოტა, 3 წელი უნდა. ამას წინათ მე თვალს ვადევნებდი სიმაღლეზე ხტომაში მოვარჯიშე გოგონებს. თითქოს მონდომებაც ჰქონდათ, ძალაც, მაგრამ აკლდათ სკოლა. ჩემი აზრით, ამა თუ იმ სახეობაში საჭიროა არა ნაკლებ 15 სპორტსმენი ქალის ვარჯიში, რომ ბოლოს 3 მაინც აღმოჩნდეს ოლიმპიური თამაშებისთვის გამოსადეგი. გოგონებს თავიანთ ძალებში რწმენას აკარგვინებს, პირველ ყოვლისა, მათი ლამაზი ფეხების ქება მაშინ, როცა ისინი სპორტული მიღწევებისთვის ქებას და სპორტული გზის დალოცვას მოელიან“.

ფეხბურთი

◆

სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში

● **სანტიაგო.** ურუგვაის ჩემპიონატში გაიმარჯვა დედაქალაქის ცნობილმა გუნდმა „პენიაროლმა“.

● **კოლუმბია.** ამ ქვეყნის ჩემპიონობა, უკვე მერამდენედ, მოიპოვა ისევ „მილიონარიოსმა“, რომლის მოთამაშეთა უმრავლესობა ეროვნულ ნაკრებში შედის. 48 მატჩში „მილიონარიოსმა“ მოაგროვა 57 ქულა (გათამაშება აქ 4 წრედ მიმდინარეობს).

● **პარაგვაი.** ასეთივე დიდი უპირატესობით მოიგო აქ პირველი ადგილი ასუნსიონის გუნდმა „ოლიმპიამ“. მას 30 ქულა აქვს 36 შესაძლებლიდან.

● **ბოლივია.** უძლიერესის ტიტული ამ მაღალმთიანი ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატში პირველად დაიპყრო „სან ხოსე დორომ“.

● **ეკვადორი.** „ბარსელონამ“ თავის რიგებში მოიწვია რამდენიმე ძლიერი მოთამაშე და დიდი უპირატესობით მოიგო ეკვადორის ჩემპიონობა.

„მოყვარულთა თასი“

იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა პროფ. მ. ანდრეევიჩმა წინადადებით მიმართა ფიფა-ს ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან ფეხბურთის ამოღების თაობაზე. აქამდე, როგორც ცნობილია, ფიფა-ს სანქციითა და მეთვალყურეობით ტარდებოდა ჯერ დიდი შესარჩევი შეჯიბრება, ხოლო შემდეგ ოლიმპიური ტურნირი 16 უძლიერესი გუნდის მონაწილეობით. ეს მ. ანდრეევიჩს ოლიმპიური სტატუსის დარღვევად მიაჩნია, ვინაიდან ძნელი გასარკვევი ხდება — ასეთ შეჯიბრებებში პროფესიული ფეხბურთელები მონაწილეობენ, თუ მოყვარულები.

ფეხბურთელთა ოლიმპიური ტურნირის ნაცვლად მ. ანდრეევიჩი ფიფა-ს წინადადებას აძლევს მოაწყოს „მოყვარულთა საერთაშორისო თასი“, სადაც ითამაშებენ ყველანი, რომლებიც არ არიან პროფესიული გუნდების წევრები.

რეკორდი კულმს ვერ გაუძლებს

მსოფლიო რეკორდსმენს ტრამპლინიდან ხტომაში, იტალიელ ნილო ცანდანელს მიაჩნია, რომ მისი რეკორდი — 144 მეტრი — წელს კულმში გაუმჯობესდება. ცანდანელი ამბობს, რომ ჯერ კიდევ ობერსდორფის ტრამპლინი იძლევა ჩემი რეკორდის რამდენიმე მეტრით გაუმჯობესების საშუალებასო.

რამდენიმე წლის წინათ სრულიად უცნობი მხტომელი ცანდანელი ახლა პირველია მსოფლიო კლასის მოხტუნავეთა შორის. ინსბრუკში იგი 25-ე ადგილით დაკმაყოფილდა. მას არც ობერსდორფში ჰქონდა შარშან დიდი შანსები, მაგრამ გამეორდა ჟოზე სლიბარის 1961 წელს მომხდარი ამბავი, როცა სულ უცნობი სპორტსმენი... 141 მეტრზე გადახტა!

ნილო ცანდანელი იხსენებს, რომ ობერსდორფში არ იყო დიდი ბრძოლისათვის განწყობილი.

— როგორც ასეთ შემთხვევებში ხშირად ხდება ხოლმე, მე სრულიად აუღელვებლად, თავისუფლად ავიღე სტარტი და, როცა ჰაერში შევამჩნიე, რომ გავცდი 140 მეტრს, გადავწყვიტე ნახტომი კარგად დამემთავრებინა. მიზანს მივაღწიე — გადავხტი 144 მეტრზე. ჩემზე ბედნიერი თუ იყო ვინმე, არ მეგონა...

ახლა ცანდანელი ემზადება შეჯიბრებისთვის, რომელიც კულმში, მიტერნდორფთან გაიმართება. აქ, ავსტრიის ამ უდიდეს ტრამპლინზე, სადაც მარტში მსოფლიოს საუკეთესო მხტომელები შეიკრიბებიან, შესაძლებელია 150-მეტრიანი ნახტომის შესრულება. ამიტომ ცანდანელი თვლის, რომ მისი რეკორდი ვერ გაუძლებს კულმის ფორუმის მონაწილეთა შეტევას.

ე. ერერა: „გულშემატკივრებს გოლები წყურიათ“

ამას წინათ პარიზის „ფრანს ფუტბოლის“ იტალიელმა კორესპონდენტმა ფ. ბერბენიმ შეასრულა თავისი რედაქციის ძნელი დავალება და ინტერვიუ ჩაატარა „ინტერნაციონალეს“ მწვრთნელ ე. ერერასთან, რომელიც ამ ბოლო ხანებში ძალზე „გადაემტერა“ ჟურნალისტებს. აი, ზოგიერთი კითხვა-პასუხი ამ ინტერვიუდან.

● **იტალიაში ძალიან ცოტა გოლი გააქვთ. მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმეს უშველიდა თამაშგარე მდგომარეობის გაუქმება?**

— ვფიქრობ, საჭიროა რაღაც ზომების მიღება, რათა ფეხბურთის სანახაობრივი მხარე გაიზარდოს. მაყურებლებს გოლები წყურიათ.

● **რისკენ ისწრაფვის „ინტერნაციონალე“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე და იტალიის ჩემპიონატში?**

— ჩემპიონთა თასზე ჩვენი მდგომარეობა მტკიცეა და ამ პრიზს ნაღდად შევინარჩუნებთ. იტალიის ჩემპიონატში მძიმე, დაუნდობელი ბრძოლაა გაჩაღებული. თითქმის ყოველ კვირას ახალ-ახალი მოთამაშეები გვეკარგება ტრავმების გამო. რაც უნდა იყოს, აქ ჩვენ მაინც მივუახლოვდით ლიდერს — „მილანს“.

● **რომელს აირჩევდით: ჩემპიონთა თასს თუ იტალიის ჩემპიონობას?**

— ჩვენ ლაპარაკიც არ გვსურს რაიმე ასეთ არჩევანზე. „ინტერნაციონალე“ ერთნაირი დაძაბულობით იბრძვის ორივე ფრონტზე. სპორტში რაც შეიძლება მაღლა უნდა უმიზნებდე.

● **კმაყოფილი ხართ, რომ ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში „გლაზგო რეინჯერსთან“ გიწევთ შეხვედრა?**

— კმაყოფილი ვართ. მიმაჩნია, რომ ჩემპიონთა თასზე ჩვენი მთავარი მეტოქე იქნება განახლებული და გაძლიერებული „რეალ-მადრიდი“.

● **რას იტყვით ფრანგულ ფეხბურთზე?**

— ფაქტია, იგი საშინელ კრიზისს განიცდის. თქვენში არაა არავითარი ტექნიკური და სანახაობითი სიახლე. საჭიროა გარკვეული რეფორმები, მაგრამ ეს ძნელი საქმეა.

● **ხომ არ ურჩევდით რამეს ფრანგული ფეხბურთის მესვეურებს?**

— ჩემის აზრით, თვითეულმა ფრანგულმა კლუბმა საერთაშორისო კლასის ორი უცხოელი მაინც უნდა მიიზიდოს. ამით ისინი თავიანთი გუნდების ტექნიკურ დონეს ასწევენ და ახალგაზრდებსაც მასწავლებლები გაუჩნდებოდათ.

● **„რესინგი“ და „რეიმსი“ ცუდ დღეში არიან. შეგიძლიათ თუ არა მათი ხსნა?**

— დიახ, შემიძლია. მინდა „რესინგი“ ჩამაბარონ. დარწმუნებული ვარ, რომ იქ, ისევე როგორც „რეიმსში“, გამოვასწორებდი მდგომარეობას.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 3-35-09, ქვესადგური (3-15-00-დან 09-მდე) — პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 5-14, ფოტოლაბორატორია — 5-16, მემანქანეთა ბიურო — 5-11, გამომშვები—3-81.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05424

ეროვნული ბიბლიოთეკა